



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 28 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №140/22
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- 2022 წლის 15 აგვისტოს №140 და 7 სექტემბერს №152 საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 15 აგვისტოს №480/140-03, 12 სექტემბრის №535/152-03 და 12 სექტემბრის №533/140-03 წერილებით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია, ამასთან, ამავე წერილებით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 8 სექტემბრის №140/22-1 გადაწყვეტილებით --- 2022 წლის 15 აგვისტოს №140 და 7 სექტემბერს №152 საჩივრები გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №140 ნომერი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის №140/22-2 გადაწყვეტილებით აღნიშნულ დისციპლინურ საქმეზე წინასწარი შემოწმების ვადა გაგრძელდა 2 კვირით.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ უსამართლო გადაწყვეტილება გამოიტანა.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლის აცილებასთან დაკავშირებით მის მიერ დაყენებული შუამდგომლობა მოსამართლემ არ განიხილა და არც დასაბუთებული პასუხი მიუღია.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. --- 2020 წლის პირველ ივლისს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის - --- მიმართ და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ნაწილში, --- 2007 წლის 19 დეკემბრის №-- ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა. --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით --- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

2.2. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება 2021 წლის 6 აპრილს სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 5 ივლისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.3. აღნიშნული განჩინება 2021 წლის 2 ნოემბერს საკასაციო წესით გაასაჩივრა -- --, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით 2021 წლის 2 ნოემბერს საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით -- -- საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 5 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ასევე, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

მოსარჩელე პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და კანონის შესაბამისად, შინაგანი რწმენის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას. მოცემულ საქმეზე მოსამართლემ შეისწავლა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა :

1. -- -- 2022 წლის 15 აგვისტოს №140 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №140 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი